ელ.ახვლედიანის სახ. ბავშვთა სურათების გალერეა არის კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულება (არასასკოლო), რომლის მიზანი და ამოცანაა ბავშვთა და მოზარდთა მხატვრულ -ესთეტიკური აღზრდა სახვითი ხელოვნებით, ხელის შეწყობა მათი ზოგადი განათლებისა და თვალსაწიერის გაფართოებისა და მხატვრული უნარ-ჩვევების განვითარების, თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების მიზნით. კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებით ბავშვებისა და საზოგადოების მოზიდვა კულტურულ ცხოვრებაში ჩართვის მიზნით. ქალაქისა და ზოგადად ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში საზოგადოებისა და განსაკუთრებით ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობით მოხდება ბავშვთა სურათების გალერეის საქმიანობის პოპულარიზაცია, ნიჭიერი ხელოვანი ბავშვების აღმოჩენა, წარმოჩენა და მათი ნიჭის განვითარებისათვის ხელის შეწყობა. ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა აქტიური ჩართვა გალერეის ღონისძიებებში საზოგადოებაში მათი ინტეგრირების მიზნით

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	გამოფენები, აქციები, შეხვედრები და კონკურსები
	ბავშვთა, მოზარდთა და ზოგადად საზოგადოების ჩართულობა
	საზოგადოების დაინტერესება და მათი ზოგადი განათლების ამაღლება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები	ინდიკატორი	სააზისო* მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო*რისკები
გამოფენები, აქციები, შეხვედრები და კონკურსები	ღონისძიებების რაოდენობა	40-მდე ღონისძიება საშუალოდ წლის განმავლობაში	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა		
ბავშვთა, მოზარდთა და ზოგადად საზოგადოების ჩართულობა	ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა	3 000-მდე მონაწილე საშუალოდ წლის განმავლობაში	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა		
საზოგადოების დაინტერესება და მათი ზოგადი განათლების ამაღლება	ვიზიტორების რაოდეობა	4 500-მდე ვიზიტორი საშუალოდ წლის განმავლობაში	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა		

№	ღონისძიების დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი	მათ შორის			საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	რაოდენობა / ვვ.ე. ერთეული	დამატებითი მახასიათებლები (დაანგარიშება)	დამატებითი ინფორმაცია
			ქალაქის ბიუჯეტი	საკუთარი სახსრები	სხვა				
1.	**შრომის ანაზღაურება**	**128 200**	**91 300**	**36 900**					
1.1	ხელფასი	116 600	91 300	25 300		თანამდებობრივი სარგო	19 თანამშრომელი		
1.2	ფულადი ჯილდო	11 600		11 600		პრემია			
1.3	დანამატი					დანამატი			
2.	**ღონისძიებების ჩასატარებლად ალაფურშეტისა და სხვა ხარჯები**	**2 900**		**2 900**		წარმომადგენლობითი ხარჯი			
3.	**ოფისის ხარჯები**	**29 260**	**29 260**						
3.1	ელექტროენერგია	20 000	20 000			ოფისის ხარჯები			
3.2	წყალი	4 260	4 260			ოფისის ხარჯები			
3.3	კავშირგაბმულობა, საკაბელო ტელევიზია	2 000	2 000			ოფისის ხარჯები			
3.4	პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	3 000	3 000			ოფისის ხარჯები			
4.	**ტრანსპორტით მომსახურება**	**1 300**	**1 300**			ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები			
5.	**სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება**	**13 500**	**8 900**	**4 600**					
5.1	აფიშები, ბანერები. ბუკლეტები, მოსაწვევები, სერთიფიკატები, სახატავი ქაღალდები და სხვა	13 500	8 900	4 600		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			
6.	**სხვა ხარჯები**	**3 000**	**2 000**	**1 000**					
6.1	საქართველოს კულტურული ფასეულებების საქართველოდან გატანის სანებართვო მოსაკრებელი	1 000		1 000		სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები			
6.2	დასუფთავება	2 000	2 000			სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები			
სულ	**ჯამი**	**178 160**	**132 760**	**45 400**					

პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი	ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
08 03 12	7082	მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური	კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი
თბილისის მუზეუმების გაერთიანების ძირითადი მიზნებია:უკვდავყოს ილია ჭავჭავაძის, ზაქარია ფალიაშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ვახტანგ ჭაბუკიანის, მერაბ კოსტავას და სოსო წერეთლის სახელები; შეაგროვოს, აღრიცხოს, დაიცვას, მეცნიერულად შეისწავლოს ილია ჭავჭავაძის, ზაქარია ფალიაშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ვახტანგ ჭაბუკიანის, მერაბ კოსტავას, სოსო წერეთლის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი მასალები, უზრუნველყოს მათი ექსპონირება, აღნიშნულის საფუძველზე აწარმოს საგანმანათლებლო მუშაობა; პოპულარიზაცია გაუწიოს ქართულ კულტურასა და ხელოვნებას, მათ შორის თოჯინურ ხელოვნებას; თბილისის მუზეუმების გაერთიანების - თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმის მიზანია - შეაგროვოს და დაიცვას საქართველოსა და ქვეყნის გარეთ არსებული ქართული კულტურის ძეგლები, ასევე მაღალმხატვრული ფასეულობის სათამაშოები და თოჯინები, მოძრავ-მექანიზებული სათამაშოები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები, ახალი მოდელები, შეისწავლოს და გამოაქვეყნოს შედეგები; ყველა აღრიცხული ერთეულიდან მემორიალური ნივთებისა და მნიშვნელოვანი ექსპონატების ბაზაზე შექმნას ძირითადი ფონდი, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის სამუზეუმო ფონდის შემადგენელ ნაწილს. ფონდის დანარჩენი ნაწილი ქმნის დამხმარე ფონდს; აწარმოოს სხვადასხვა სახეობის ფონდების სისტემატური შევსება, მიიღოს კოლექციები და ცალკეული საგნები სახელმწიფო დაწესებულებებისგან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან, აგრეთვე კერძო პირებისგან შესყიდვით და შემოწირულობით; აწარმოოს ფონდებში დაცული მასალების მეცნიერული დამუშავება და ამის საფუძველზე გამოსაცემად მოამზადოს სამეცნიერო სტატიები, ანგარიშები, კატალოგები, შრომები, გამოფენის მეგზურები და ბუკლეტები; მოაწყოს სტაციონალური ექსპოზიციები, მოძრავი გამოფენები ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. თბილისის მუზეუმების გაერთიანების 2019 წლის მიზანია სამუზეუმო გაერთიანების ინსტიტუციური სრულყოფა, საგამოფენო სივრცეებისა და ექსპოზიციების განახლება, საინფორმაციო ბაზებისა და სამეცმიერო მიმართულებების მომზადება და სხვა. 2017 წლიდან თბილისის მუზეუმების გაერთიანების ერთერთ მთავარ პრიორიტეტად სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიმართულება იქცა, რომლის მიზანიც სამუზეუმო ფონდების აქტიური გამოყენება და საგანამანათლებლო რესურსებად ქცევა. სამუზეუმო განათლების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებების ინტეგრირებული სწავლებისთვის ხელშეწყობა მუზეუმი-გაკვეთილის ჩატარების გზით, რომლისთვისაც იგი მის ხელთ არსებულ მდიდარ ფონდებს იყენებს

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში
	მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა
	მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები	ინდიკატორი	საბაზისო* მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო*რისკები
მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში	განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა	100-მდე ღონისძიება საშუალოდ წლის განმავლობაში	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა		
მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა					
მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები	ვიზიტორების რაოდეობა	7 500-მდე ვიზიტორი საშუალოდ წლის განმავლობაში			

№	ღონისძიების დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი	მათ შორის			საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	რაოდენობა / ჯერადობა	დამატებითი მახასიათებლები (დაანგარიშება)	დამატებითი ინფორმაცია
			ქალაქის ბიუჯეტი	საკუთარი სახსრები	სხვა				
1.	**შრომის ანაზღაურება**	**663 300**	**663 300**						
1.1	ხელფასი	663 300	663 300			თანამდებობრივი სარგო	81 თანამშრომელი		
2.	**შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ანაზღაურება**	**12 000**	**12 000**			შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	2 შტატგარეშე	2*500*12 თვე	
3.	**გამოფენების გახსნის ღონისძიებების და კონფერენციის მონაწილეთა მომსახურების ხარჯი**	**5 000**	**3 000**	**2 000**		წარმომადგენლობითი ხარჯები			
4.	**ოფისის ხარჯები**	**130 000**	**122 000**	**8 000**					
4.1	კომუნალური ხარჯები (სათაო ოფისის და 9 სტრუქტურული ერთეულისათვის)	50 000	50 000			ოფისის ხარჯები			ელექტროენერგია - 30 000 ლარი, წყალი - 12 000 ლარი, ბუნებრივი აირი - 8 000 ლარი
4.2	საკანცელარიო საქონელი	1 000	1 000			ოფისის ხარჯები			
4.3	კავშირგაბმულობა	5 000	5 000			ოფისის ხარჯები			
4.4	სამეურნეო საქონელი	8 000	8 000			ოფისის ხარჯები			
4.5	სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან/დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი	13 000	5 000	8 000		ოფისის ხარჯები			

4.6	შენობის-მოვლა-პატრონობის, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი	50 000	50 000			ოფისის ხარჯები			
4.7	პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	3 000	3 000			ოფისის ხარჯები			
5.	**სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება მომსახურება**	**143 300**	**138 300**	**5 000**					
5.1	ნაბეჭდი გამოცემა - მერაბ კოსტავა	25 000	25 000			სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			2019 წელი მერაბ კოსტავას საიუბილეო წელია, 2018 წლიდან მიმდინარეობს მერაბ კოსტავას ცხოვრებისა და შექმოდების ამსახველი დოკუმენტების მოძიება და დამუშავება. 2019 წლისთვის დაგეგმილია საიბულეო გამოცემის მომზადება
5.2	ნაბეჭდი გამოცემები (საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების ბუკლეტები და სხვა საგამოფენო ბეჭდური მასალა)	21 900	21 900			სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			საგანმანათლებლო ბუკლეტები- 2 სახეობა - თითოეული 500 ეგზ., მუზეუმების საინფორმაციო ბუკლეტები - 9 სახეობა, თითოეული 500 ეგზ., საგამოფენო ბანერები - 50კვ.მ., საგანმანათლებლო პროგრამების დამხმარე მასალები და სხვა საგამოფენო საჭიროებები
5.3	კოტე წერეთლის სახელობის მესამე საერთაშორისო კონფერენცია - "სემიტოლოგიური ძიებანი"	15 000	15 000			სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			კონფერენცია „სემიტოლოგიური ძიებანი", რომელიც მოიცავს აღმოსავლეთმცოდნეობის საკითხების კვლევასა და შესწავლა. კონფერენცია საერთაშორისო მას დშტაბისაა და აღმოსავლეთმცოდნეების დიდ ინტერესს იწვევს
5.4	მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის მომზადება	10 000	10 000			სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			18 მაისიდან აღინიშნება მუზეუმის ღამე და მუზეუმის კვირეული - რომელსაც ორგანიზებას ევროპის საბჭო, UNESCO და ICOM (მუზეუმების საერთაშორისო საბჭო) უწევენ. მუზეუმებისა და სხვა საგამოფენო სივრცეების რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენებით აქციის მოწყობა მუზეუმების აუდიტორიის გაფართოებასა და მუზეუმის როლის, სამუზეუმო კოლექციებისა და, ზოგადად, სამუზეუმო საქმის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად
5.6	რესტავრაცია - კონსერვაცია	10 000	10 000						მუზეუმების გაერთიანების ფონდების მოვლა სამუზეუმო საქმანობის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, 2019 წლისთვის დასრულებული იქნება გაერთიანების ფონდების რული აღწერა - რეინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია, რაც გულისხმობს ახალ ეტაპზე გადასვლას, რომელიც იყოფა სამ ძირითად კატეგორიად: პრევენციული დაცვა, კოლექციების დაზიანების გამომწვევ მიზეზთა კვლევა და რესტავრაცია. ისინი ითვალისწინებს დაზიანებული არტეფაქტების აღდგენა-გამაგრებას მათი ისტორიულ-მხატვრული ღირებულების შენარჩუნების მიზნით
5.7	ფონდების შევსება - ექსპონატების შესყიდვა	16 400	11 400	5 000					სამუზეუმო ფონდების განახლება თბილისის მუზეუმების გაერთიანების ერთ ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, 2018 წელს შესყიდულია არაერთი მნიშვნელოვანი სამუზეუმო ექსპონატი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მუზეუმის საექსპოზიციო სივრცისთვის 4 ტიპოლოგიური ნივთი, ილია ჭავჭავაძისეული ავეჯი - სამი ერთეული

5.8	სათამაშოებისა და თოჯინების საერთაშორისო ფორუმი	30 000	30 000						თბილისის სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმი ოთხმოცწლიან ისტორიას ითვლის და აერთიანებს ხალხური და მხატვრული დედოფალების, მუსიკალური და მექანიკური სათამაშოების, ლიტერატურული პერსონაჟების მიხედვით შექმნილი თოჯინებისა და სხვადასხვა პიროვნების სამახსოვრო საჩუქრების კოლექციებსა და მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ მასალას. წლების განმავლობაში მუზეუმთან აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ ცნობილ მხატვრებს, მწერლებს, მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს. გაერთიანების კოლეციაში დაცულია არაერთი მნიშვნელოვანი უცხოელი ავტორისა თუ სერიული ნამუშევრების ექსპონატები. 2018 წელს მომოზადებული კატალოგის შემდეგ დიდია დაინტერსება ქართული თოჯინების მიმართ, რაც კიდევ უფრო მეტ პოულაროზას მოუტანს სხვა სოციალურ სარგებელთან ერთად ქართულ თოჯინურ ხელოვენაბს აღნიშნული ფორომის ჩატარება
5.9	თემატური გამოფენების ორგანიზება	15 000	15 000						საგამოგენო მასალების შეძენა და ბეჭდვა
6.	**დასუფთავების მოსაკრებელის ხარჯი**	**1 000**	**1 000**			სხვადასხვა მიმდინარე ხარჯი			სათაო ოფისის და 9 სტრუქტურული ერთეული
7.	**არაფინანსური აქტივები**	**73 600**	**73 600**						
7.1	ტექნიკა და ავეჯი	24 200	24 200			ძირითადი აქტივები			5 ერთეული ექსპოზიციის მონიტორი, 4 ერთეული თაჩ სკრინის მონიტორი, 2 ერთეული პროექტორი, - კომპიუტერი, ლეპტოპი, კონდენციონერი, საოფისე ავეჯი
7.2	ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი (ჩუბინაშვილის N22) რეაბილიტაცია, კონსერვაცია - კვლევითი სამუშაოები	49 400	49 400			ძირითადი აქტივები			შენობის როგორც კულტურული მემკვიდრეობი ძეგლის რეაბილიტაცია კონსერვაცია, გამაგრებითი და სარემონტო სამუშაოების კვლევით პროექტის მომზადება, გეოლოგიური და სხვა შესაბამისი დასკვნების მომზადება, კონსერვაციის გეგმის შემუშავება - თანამედროვე მუზეუმისთვის შესაბამისი სისტემის გათვალისწინებით, წყლისა და ელექტრო სისტემების, სველი წერტილების მოწყობა, ადაპტირებული გარემოს შშმ ინსტალაცია, ელექტრო სისტემებისა და უსაფრთხოების სისტემების პროექტების მომზადება და საკონსერვაციო პროექტის შემუშავება
სულ	**ჯამი**	**1 028 200**	**1 013 200**	**15 000**					

პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი	ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
08 04 01	7082	საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი"	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური	კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი
ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქართული საესტრადო ტრადიციების აღდგენას, საესტრადო მუსიკის სწორი მიმართულებით განვითარებას, ახალგაზრდა ნიჭიერი შემსრულებლების აღმოჩენას; ამ მიზნების განსახორციელებლად ქვეპროგრამა უზრუნველყოფს საკონცერტო ორკესტრის ,,ბიგ-ბენდის" ხელშეწყობასა და მისი რეპერტუარის განახლებას. თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" ერთადერთი საკონცერტო ორკესტრია საქართველოში, რომელსაც აკისრია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფუნქცია ქვეყანაში საესტრადო ხელოვნების განვითარებისათვის. ორკესტრი ამზადებს ქართველ კომპოზიტორთა საკონცერტო და საიუბილეო საღამოებს, მონაწილეობას იღებს ერთობლივ კონცერტებში უცხოელ მუსიკოსებთან ერთად, რაც მეტად მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ საქართველოს პოპულარიზაციისათვის

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობა

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები	ინდიკატორი	საბაზისო* მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო*რისკები
თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობა	ღონისძიებების რაოდენობა	40-მდე ღონისძიება საშუალოდ წლის განმავლობაში	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა		

№	ღონისძიების დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი	მათ შორის			კლასიფიკაციის მუხლი	რაოდენობა / ჯგ.მ. ჯერადობა	დამატებითი მახასიათებლები (განმარტება)	დამატებითი ინფორმაცია
			საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	სხვა (დონორი)				
1.	**შრომის ანაზღაურება**	**524 680**	**434 680**	**90 000**					
1.1	ხელფასი	434 680	434 680			თანამდებობრივი სარგო	35 თანამშრომელი		
1.2	ფულადი ჯილდო	20 000		20 000		ფულადი ჯილდო			
1.3	დანამატი	50 000		50 000		დანამატი			
1.4	ჰონორარი	20 000		20 000		ჰონორარი			პარტიტურები
2.	**თანამშრომელთა მივლინების ხარჯი**	**30 000**	**5 000**	**25 000**		მივლინება			
3.	**ოფისის ხარჯები**	**19 000**	**17 000**	**2 000**		საქონელი და მომსახურება			
3.1	საკომუნიკაციო მომსახურება	2 000	2 000			ოფისის ხარჯი			
3.2	ელექტრო ენერგია	3 000	3 000			ოფისის ხარჯი			
3.3	ბუნებრივი აირი	3 000	3 000			ოფისის ხარჯი			
3.4	წყლით მომსახურება	500	500			ოფისის ხარჯი			
3.5	საკანცელარიო საქონელი	500	500			ოფისის ხარჯი			
3.6	სამეურნეო საქონელი	5 000	3 000	2 000		ოფისის ხარჯი			
3.7	მუსიკალური ინსტრუმენტების და აპარატურის აქსესუარების შეძენა	2 000	2 000			ოფისის ხარჯი			გიტარის და ბასგიტარის სიმები, დასარტყმელი ინსტრუმენტების ჯოხები, პლასტიკები, საქსოფონების ტროსტები, ელსადენები,
3.8	საბუღალტრო პროგრამის უზრუნველყოფა	3 000	3 000						
4.	**სტუმრების მომსახურების ხარჯი**	**1 000**	**1 000**			წარმომადგენლობითი ხარჯი			
5.	**საქონელი და მომსახურება**	**29 000**	**12 000**	**17 000**					
5.1	მუსიკალური ინსტრუმენტებისა და აპარატურის მონტაჟი -დემონტაჟი და ტრანსპორტირება	25 000	10 000	15 000		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			
5.2	სარეკლამო მომსახურება	4 000	2 000	2 000		სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			DVD დისკები, ფლაერები, სარეკლამო პლაკატები, სარეკლამო რგოლები,
6.	**სხვა ხარჯი**	**500**		**500**					
6.1	ქონების გადასახადი	500		500		სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები			
7.	**არაფინანსური აქტივები**	**36 000**	**36 000**						
7.1	მუსიკალური აპარატურისა და ინსტრუმენტების შეძენა	36 000	36 000			ძირითადი აქტივი			
სულ	**ჯამი**	**640 180**	**505 680**	**134 500**					

პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი	ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
08 04 03	7082	ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური	კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი
ქ.თბილისის პანთეონების (მთაწმინდის, დიდუბის და სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა `ხოჯივანქი"პანთეონი) მოვლა_პატრონობა,Pსაფლავების დასუფთავება, გამწვანების მოვლა განახლება. პანთეონი წარმოადგენს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს და ასახავს ქვეყნის უახლეს ისტორიას, რამეთუ იქ დაკრძალულნი არიან საქართველოს ისტორიაში შესული პიროვნებები, ამასთანავე, მათი საფლავები კი უმეტესწილად, კეთილმოწყობილია გამოჩენილი მოქანდაკეების მიერ

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი პანთეონები და საზოგადეობის დაინტერესება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები	ინდიკატორი	საბაზისო* მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო*რისკები
მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი პანთეონები და საზოგადეობის დაინტერესება	ვიზიტორების რაოდენობა	5 000-მდე ვიზიტორი საშუალოდ წლის განმავლობაში	საბაზისო მაჩვენებელის ზრდა		

№	ღონისძიების დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი	მათ შორის			საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	რაოდენობა / ჯგ.მ. ჯერადობა	დამატებითი მახასიათებლები (დაანგარიშება)	დამატებითი ინფორმაცია
			ქალაქის ბიუჯეტი	საკუთარი სახსრები	სხვა				
1.	**შრომის ანაზღაურება**	**116 200**	**116 200**			თანამდებობრივი სარგო	15 თანამშრომელი		
2.	**ოფისის ხარჯი**	**22 862**	**22 300**	**562**					
2.1	სამეურნეო, საკანცელარიო საქონელი	7 062	6 500	562		ოფისის ხარჯი			
2.2	ელექტროენერგია	1 775	1 775			ოფისის ხარჯი			
2.3	კავშირგაბმულობის ხარჯი	720	720			ოფისის ხარჯი			
2.4	წყალი	8 400	8 400			ოფისის ხარჯი			
2.5	ბუნებრივი და თხევადი რესურსების ხარჯი	780	780			ოფისის ხარჯი			
2.6	პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	3 000	3 000			ოფისის ხარჯი			
2.7	შშმ პირებისთვის ადაპტირებული ლიფტის მოვლა-შენახვის ხარჯი	1 125	1 125			ოფისის ხარჯი			
3.	**სხვა ხარჯი**	**300**	**300**						
3.1	დასუფთავების მოსაკრებელი	300	300			სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები			
სულ	**ჯამი**	**139 362**	**138 800**	**562**					

პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი	ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
08 04 04	7082	კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებების ხელშეწყობა	კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური	კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი
კულტურის ობიექტები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ხელს უწყობს პერსონალის შრომისუნარიანობისა და დაწესებულებების მოსწავლეთა შემოქმედებით ზრდას. დაგეგმილია კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მუნიციპალური კულტურის ობიექტების შენობა _ ნაგებობების სარემონტო-სარებილიტაციო და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ტექნიკის შეძენა, კულტურის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რაც გულისხმობს არსებული და მშენებარე კულტურის ობიექტების ადაპტაციას მათ საჭიროებებთან და სხვა

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
	თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებების რაოდენობა

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები	ინდიკატორი	საბაზისო* მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/ აღწერა)	შესაძლო* რისკები
კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	ობიექტების რაოდენობა	45-მდე ობიექტი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება და ზრდა		
თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებების რაოდენობა					

№	ღონისძიების დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი	მათ შორის			საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	რაოდენობა / კვ.მ. ზომა	დამატებითი მახასიათებლები (განზომილება)	დამატებითი ინფორმაცია
			საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	სხვა (დონორი)				
1.	**სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება**	**59 028**	**59 028**						
1.1	კულტურის ობიექტებისთვის ინვენტარის, ტექნიკის, ინსტრუმენტების რეაბილიტაცია და შეძენა (ინსტრუმენტების გადატანა)	39 028	39 028			სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			
1.2	კულტურის ობიექტებში დამონტაჟებული სახანძრო უსაფრთხოების სისტემების მოვლა - პატრონობა	10 000	10 000			სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			
1.3	ქალაქ თბილისის მასშტაბით დამონტაჟებული სააფიშე ჯიხურების მოვლა - პატრონობა	10 000	10 000			სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			
2.	**კულტურის დაწესებულებებისთვის მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარება (პროექტების მომზადება, სხვადასხვა გადაუდებელი საჭიროებები (ფორსმაჟორი)**	**280 000**	**280 000**			სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები			
3.	**არაფინანსური აქტივები**	**1 850 972**	**1 960 972**						
3.1	კულტურის დაწესებულების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება	160 000	160 000			არაფინანსური აქტივების ზრდა	2 ობიექტი		მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის ახალი პანთეონის ღობის მოწყობა, ელენე ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეას სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება
3.2	კულტურის დაწესებულების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება	59 040	59 040			არაფინანსური აქტივების ზრდა	1 ობიექტი		**გარდამავალი ტენდერი** - ალექსი მაჭავარიანის სახელობის №26 ხელოვნების სკოლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტი მომზადებულია) - პროექტის მიხედვით თანხამ შეადგინა **196 799.97 ლარი** (ექსპერტიზის ჩათვლით). გარდამავალი ტენდერი 2018 წლის ბიუჯეტიდან 70 % - **137 759.98** ლარი, ხოლო 2019 წლის ბიუჯეტიდან 30% - **59 039.99** ლარი
3.3	კულტურის დაწესებულების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება	339 833	339 833			არაფინანსური აქტივების ზრდა	1 ობიექტი		**გარდამავალი ტენდერი** - რევაზ ლაღიძის სახელობის №4 ხელოვნების სკოლის გამაგრებითი სამუშაოების პროექტი მომზადებულია - პროექტის მიხედვით თანხამ შეადგინა **485 476** ლარი (ექსპერტიზის ჩათვლით), 2018 წლის ბიუჯეტიდან 30 % - **145 642.80** ლარი, ხოლო 2019 წლის ბიუჯეტიდან 70% - **339 833.20** ლარი
3.4	კულტურის დაწესებულების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება	442 092	442 092			არაფინანსური აქტივების ზრდა	1 ობიექტი		**გარდამავალი ტენდერი** - არჩილ ჩიმაკაძის სახელობის №3 ხელოვნების სკოლის გამაგრებითი სამუშაოების პროექტი მომზადებულია - პროექტის მიხედვით თანხამ შეადგინა **631 560** ლარი (ექსპერტიზის ჩათვლით), 2018 წლის ბიუჯეტიდან 30 % - **189 468** ხოლო 2019 წლის ბიუჯეტიდან 70% - **442 092** ლარი

3.5	კულტურის დაწესებულების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება	669 421	669 421			არაფინანსური აქტივების ზრდა	1 ობიექტი		**გარდამავალი ტენდერი** - ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის კაპიტალური რემონტი ჩასატარებლად მომზადდა პროექტი, სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების თანხამ შეადგინა **956 315.61** ლარი (ექსპერტიზის ჩათვლით), 2018 წლის ბიუჯეტიდან 30 % - **286 894.68** ლარი, ხოლო 2019 წლის ბიუჯეტიდან 70% - **669 420.93** ლარი
3.6	კულტურის დაწესებულების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება	34 949	34 949			არაფინანსური აქტივების ზრდა	1 ობიექტი		**გარდამავალი ტენდერი** - ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის N#7 ხელოვნების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების თანხამ პროექტის მიხედვით შეადგინა **69 897** ლარი (ექსპერტიზის ჩათვლით), 2018 წლის ბიუჯეტიდან 50 % - **34 948.50** ლარი, ხოლო 2019 წლის ბიუჯეტიდან 50% - **34 948.50** ლარი;
3.7	კულტურის დაწესებულების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება	145 637	145 637			არაფინანსური აქტივების ზრდა	3 ობიექტი		**№15, N21, N25** ხელოვნების სკოლების სარემონტო-სარეაბილიტაცო სამუშაოების ჩასატარებლად პროექტი მომზადებულია, პროექტის მიხედვით სამუშაოების ღირებულება ექსპერტიზის ჩათვლით N15 ხელოვნების სკოლისთვის შეადგინა **58 548.74** ლარი, №21 ხელოვნების სკოლისთვის - **22 166.15** ლარი და №25 ხელოვნების სკოლისთვის - **64 611.92** ლარი
3.8	კულტურის დაწესებულების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება	110 000	110 000			არაფინანსური აქტივების ზრდა	1 ობიექტი		ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში შემავალი შიო არაგვისპირელის სახლ-მუზეუმის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები
სულ	**ჯამი**	**2 300 000**	**2 300 000**						

პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი	ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
08 05	7082	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა	კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური	კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი
პროგრამის მიზანია დედაქალაქში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობა, კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. თბილისი, როგორც მულტიკულტურული ქალაქი სავსეა ღონისძიებებისა და შემოქმედებითი პროცესების მრავალფეროვნებით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, კულტურული ტურიზმის განვითარება და ისეთიპროექტების ხელშეწყობა, რომლებიც ითვალსიწინებს საერთაშორისო გამოცდილებას და, ამასთანავე, ქართული ტრადიციებისა და თბილისისათვის დამახასიათებელი კულტურულ თვითმყოფადობას. პროგრამის მიზანია, კულტურის სფეროს სხვადასხვა მიმართულების საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის ფესტივალებისა და კონკურსების ორგანიზება და ხელშეწყობა, თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისა და რელიგიური ღონისძიებების ხელშეწყობა. თბილისის დამეგობრებულ ქალაქებთან და დედაქალაქისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობის ქალაქებთან კულტურის სხვადასხვა სფეროს ღონისძიებების ორგანიზება. ამასთანავე, პროგრამა ითვალსიწინებს დედაქალაქის მასშტაბით კულტურის სფეროს სხვადასხვა მიმართულების პროექტების განხორციელებას ღია ცის ქვეშ. პროგრამის მთავარი მიზანია ისეთი პროექტების ხელშეწყობა, რომლებიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კულტურის ხელმისაწვდომობას, დედაქალაქში შემოქმედებითი პროცესების სტიმულირებას, ახალგაზრდა ხელოვანების საქმიანობის პოპულარიზაციას, კულტურის ტრადიციული დარგების გაძლიერებასა და კულტურული ტურიზმის ზრდას

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი
ქართველი ხელოვანების ჩართულობის ზრდა საერთაშორისო კულტურულ სივრცეში
ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედების წარმოჩენა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა-პოპულარიზაცია
საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა სხვადასხვა კულტურულ აქტივობაში
ტრადიციული დარგების ხელშეწყობა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება
განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები თბილისის დამმობილებულ ქალაქებთან

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები	ინდიკატორი	საბაზისო* მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო* რისკები
ხელოვნების და კულტურის განვითარების მხარდამჭერი პროექტები	პროექტების რაოდენობა	180-მდე პროექტი საშუალოდ წლის განმავლობაში	საბაზისო მაჩვენებელის ზრდა		მომართვიანობის სიმცირე. განმახორციელებლის მიერ არასათანადო ორგანიზება
განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესი, ღონისძიებებში მონაწილეები და დამსწრეები	მონაწილეთა რაოდენობა	3 600-მდე მონაწილე საშუალოდ წლის განმავლობაში	საბაზისო მაჩვენებელის ზრდა		ხელოვანის ავადმყოფობა, განმახორციელებლის მიერ არასათანადო ორგანიზება

№	ღონისძიების დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი	მათ შორის			საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	რაოდენობა / ჯამური ჯერადობა	დამატებითი მახასიათებლები (დაანგარიშება)	დამატებითი ინფორმაცია
			ქალაქის ბიუჯეტი	საკუთარი სახსრები	სხვა				
1.	**კულტურის პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტი**	**100 000**	**100 000**			სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			2018 წელს განხორციელდა საქართველოს მოსახლეობის და დაინტერესებულ მხარეები (სტეიქჰოლდერები) აზრის კვლევა სადაც გამოიკვეთა ქალაქის მოსახლეობის პრიორიტეტები და დაინტერესებული მხარეების აზრი კულტურის სამომავლო ხედვებთან დაკავშირებით, სწორედ ამ დოკუმენტებზე დაყრდობით უნდა შემუშავდეს ქალაქ თბილისის კულტურის სტრატეგიის პოლიტიკის დოკუმენტი
2.	**სხვა ხარჯები**	**2 950 000**	**2 950 000**						
2.1	რელიგიური, ეთნიკური უმცირესობების დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშველობის ღონისძიებების ხელშეწყობა	400 000	400 000			სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები			საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისა და რელიგიური (ქალთა საერთაშორისო დღე, დედაენის დღე, აღდგომა, ნოვრუზ ბაირამი და სხვ.) ასევე, სხვადასხვა მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ღონისძიებების ხელშეწყობა
2.2	საერთაშორისო და გაცვლითი კულტურული ღონისძიებები	300 000	300 000			სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები			თბილისის დამეგობრებულ ქალაქებთან და დედაქალაქისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქებთან - ნანტი, ბილბაო, კიევი, ვილნიუსი და მინსკი დამმობილების და კრაკოვთან. გუანჯოუსთან, ლუბლინთან და დუბლინთან პარტნიორობის საიუბილეო თარიღების აღნიშვნა. ქართველი და უცხოელი ხელოვანების შემოქმედებითი კავშირების გაღრმავების მიზნით, სხვა გაცვლითი კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა
2.3	ფესტივალებისა და კონკურსების ხელშეწყობა	1 900 000	1 900 000			სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები			კულტურის სფეროს სხვადასხვა მიმართულების იმ საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის ფესტივალებისა და კონკურსების ორგანიზება და ხელშეწყობა, რომელიც ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა სახელმწიფო სტუქტურების ხელშეწყობით და თბილისის კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს

2.4	თბილისის ცის ქვეშ	350 000	350 000			სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები			კულტურის სფეროს სხვადასხვა მიმართულების პროექტების განხორციელება ღია ცის ქვეშ, დედაქალაქის მასშტაბით. აღნიშნული მიმართულება ითვალისწინებს კულტურული ტურიზმის ხელშეწყობას, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, კულტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და მულტიდისციპლინური პროექტების ხელშეწყობას; ახალი ტალანტების აღმოჩენასა და მათი მხარდაჭერას; კულტურისა და შემოქმედებითი სექტორების სტიმულირებით დედაქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებას
სულ	**ჯამი**	**3 050 000**	**3 050 000**						

პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი	ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
08 06 01	7081	სპორტული ღონისძიებები	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულსამეთა საქალაქო სამსახური	კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი
ქვეპროგრამა მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის (პარასპორტის) განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მოშზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (ეროვნული, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობაზე, თბილისის ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარებაზე, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების და მწვრთნელ-მასწავლებლების მოშზადებაზე, ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე თბილისის ნაკრები გუნდების წვერთა მიერ საპრიზო ადგილების დაკავებას. სპორტსსხვადასხვა სახეობებში პირველობების, ჩემპიონატების, თასების გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-სწვრთნო შეკრებების ჩატარება და სპორტსმენთა მიელინება საერთაშორისო ტურნირებზე; ქართული საბრძოლო ხელოვნების ხელშეწყობა; მასობრივი სპორტის პოპულარიზაციაზე და ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისათვის თბილისელი სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალური წახალისება. კლუბების და ფედერაციების საჭირო ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა, სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნული და თბილისის ფედერაციების, სამსახურს დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ების და წყალბურთის ხელშეწყობა. თბილისში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით იგეგმება სხვადასხვა სახეობებში სპორტული კლუბების ხელშეწყობა და განვითარება ქალაქის მასშტაბით, საგანმანათლებლო (უნივერსიტეტები, სკოლები) დაწესებულებების ბაზებზე. სპორტის შესახებ ცნობიერების ამაღლება და სპორტის პოპულარიზაცია

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	
	შედეგი 1: სპორტის სხვადასხვა სახეობებში მასობრივი, ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებები.
	შედეგი 2: მატერიალურად წახალისებული მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებული თბილისელი სპორტსმენები.
	შედეგი 3: ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები		სააზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები
სპორტის სხვადასხვა სახეობებში მასობრივი, ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებები.	ჩატარებული მასობრივი, საერთაშორისოდა ადგილობრივი დონის ღონისძიებების რაოდენობა	2018 წლის ბოლომდე დაახლოებით 250-მდე სპორტული ღონისძიება ჩატარდება	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	მწირი ფინანსური რესურსი
მატერიალურად წახალისებული მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებული თბილისელი სპორტსმენები.	მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში საპრიზო ადგილებზე გასული თბილისელი სპორტსმენების რაოდენობა.	მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებული ჩემპიონებისა და პრიზიორების რაოდენობა 2018 წლის ბოლოსთვის იქნება ცნობილი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	სპორტსმენთა არადამკმაყოფილებელი ანაზრაზობა
სპორტის სხვადასხვა სახეობებში ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა	ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებში ჩართულ ქალთა რაოდენობა	2018 წლის ბოლომდე პროექტებში დაახლოებით 11000-ზე მეტი ქალი იქნება ჩართული	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 10-15%-ით	5%	ნაკლები მომართვიანობა

№	ღონისძიების დასახელება	2019 წლის ხარჯების პროექტი	მათ შორის			საბიუჯეტო კლასიფიკაციის ხელა	რაოდენობა / კმ.მ. ერთეული	ფაქტობრივი მაჩვენებელი (ანგარიშის)	ფაქტობრივი ღირებულება
			საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	სხვა (დარიცხვა)				
1	თბილისში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა სახეობებში სპორტული ფედერაციების და კლუბების ხელშეწყობა, ფედერაციების და კლუბების საჭირო ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა.	300 000	300 000			სუბსიდიები			2019 წელს თბილისში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით იგეგმება სხვადასხვა სახეობებში სპორტული კლუბების ხელშეწყობა და განვითარება, მოსახლების ფართო მასების ჩაბმა სპორტულ აქტივობებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.
2	სპორტის სხვადასხვა სახეობის თბილისის და ეროვნული ფედერაციების, სპორტული კლუბების, სპორტული ასოციაციების საქმიანობის ხელშეწყობა, ქ. თბილისის მერიის თასის გათამაშებების, რემპიონატების, პირველობების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება და სპორტსმენთა მივლინება საერთაშორისო ტურნირებზე.	1 000 000	1 000 000			სუბსიდიები			ღონისძიებები გაიმართება ქალთა საერთაშორისო დღეს, სპორტის საერთაშორისო დღეს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეს, ასევე ოგეგმება რაიონულ ჩემპიონატებში გამარჯვებული გუნდებისთვის საფინალო ტურნირების ჩატარება ფეხბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში. გაიმართება საქველმოქმედო მარათონი, სამოყვარულო ფეხბურთში "თბილისის ლიგა 2019", პარასპორტის ჯგირველი, ასევე პროექტის "მერისთან ერთად" ფარგლებში 150-200 ბენეფიციარი უსასყიდლოდ ივარჯიშებს ფეხბურთში.
3	მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისათვის თბილისელი სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალური წახალისება.	200 000	200 000			სუბსიდიები			ფედერაციებიდან შემოსული მოთხოვნის შესაბამისად, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში საპრიზო ადგილების დაკავებისთვის თბილისელი სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალური წახალისება.
4	წყალბურთის ხელშეწყობა	350 000	350 000			სუბსიდიები			შრომის ანაზღაურება-232500 ლარი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთა ანაზღაურება-51000 ლარი, აუზის ოყარა-10 თვე X 6000 ლარი = 60000 ლარი, გუნდის ეკიპირება-3000 ლარი, ზღვაო ტრენინგის პროგრამის მომსახურება-3000 ლარი, შესყიდვებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება-500 ლარი.
5	სამსახურს დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ების ხელშეწყობა	118 725	118 725			სუბსიდიები			
სულ	**ჯამი**	**1 968 725**	**1 968 725**						

პროგრამის/ ქვეპროგრამის კოდი	ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
08 06 02	7081	მწვრთნელთა მხარდაჭერა	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის	კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი
ქ. თბილისში ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ ჯგუფებთან მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებელთა ყოველთვიური მატერიალური წახალისება გაზრდის მწვრთნელების დაინტერესებასა და მოტივაციას სასწავლო-საწვრთნო პროცესის ჩატარების მიმართ. მათი აქტიური მუშაობა და შეჯიბრებებში მონაწილეობა ხელს შეუწყობს დედაქალაქში სპორტის სხვადასხვა სახეობებში მწვრთნელ-მასწავლებელთა მიერ პერსპექტიული მოზარდებისა და ახალგაზრდების მოძიებას, მათ ჩაბმას სპორტულ ჯგუფებში და მაღალი შედეგების მიღწევას; პროგრამაში მწვრთნელ-მასწავლებელთა ჩართვა ხდება სპორტის შესაბამისი ფედერაციების წარდგინების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ მწვრთნელ-მასწავლებელთა მიღწევებისა და დამსახურებების გათვალისწინებით.

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	შედეგი 1: მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ–მასწავლებლები.

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები		სახაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები
მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ–მასწავლებლები	მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ–მასწავლებლების რაოდენობა.	2018 წელს პროგრამის ფარგლებში ჩართულ მწვრთნელთა რაოდენობაა - 350, მ.შ კაცი - 279, ქალი - 71	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	0%	

№	ღონისძიების დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი	მათ შორის			საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	რაოდენობა / ფგ.მ. ჯერადობა	დამატებითი მახასიათებლები (ტარიფირება)	დამატებითი ინფორმაცია
			საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	სხვა (ტრანტი)				
1	მწვრთნელ–მასწავლებელთა მხარდაჭერა	2 296 875	2 296 875			სხვა ხარჯები	350	350 მწვრთნელიX625 ლარიX10.5 თვე	
სულ	**ჯამი**	**2 296 875**	**2 296 875**						

პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი	ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
08 06 03	7081	სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის	კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი
მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით, ასევე მოსახლეობის მაღალი მომართვიანობის გამო, თბილისში, 2 ლოკაციაზე იგეგმება ექსტრემალური პანდუსების მოწყობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	შედეგი: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ახალგაზრდებისთვის სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები	№	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები
სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ახალგაზრდებისთვის სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა	ექსტრემალური პანდუსების რაოდენობა	2018 წლის მდგომარეობით ქალაქში 1 ექსტრემალური პანდუსია	2019 წელს დამატებით მოეწყობა 2 ახალი ექსტრემალური პანდუსი	0%	ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა

№	ღონისძიების დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი	მათ შორის			საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	რაოდენობა / ჯგ.მ. ჯამური	დამატებითი მახასიათებლები (განმარტება)	დამატებითი ინფორმაცია
			საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	სხვა (ტრანტი)				
1	ექსტრემალური პანდუსების მოწყობა	200 000	200 000			არაფინანსური აქტივების ზრდა	2 ლოკაცია	2X100,000 ლარი	2 ლოკაციაზე მოეწყობა ექსტრემალური პანდუსები
სულ	**ჯამი**	**200 000**	**200 000**						

პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი	ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
08 06 04	7081	სპორტული დანიშნულების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება მშენებლობა	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური	კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი
ქვეპროგრამა შექმნილია თბილისში თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, რომელშიც საუკეთესო სავარჯიშო პირობები ექნებათ დაშვებულ და პროფესიონალ სპორტსმენებს. ამასთან, ყალიბდება საუკეთესო პირობების მქონე სპორტული ინფრასტრუქტურა ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებების ჩატარებისათვის. სპორტული დანიშნულების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა, ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობებში სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების უკეთეს პირობებში ჩატარებას, მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, სპორტული ობიექტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რაც, შესაბამისად, დადებითად აისახება სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე. ქვეპროგრამის ფარგლებში შეიქმნება ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოების ყველა წევრისთვის (ქალებისთვის, კაცებისთვის და შშმ პირებისთვის).

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	**შედეგი 1:** ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ექსპერტიზა
	შედეგი 2: ორი ახალი მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მშენებლობა
	შედეგი 3: არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები	№	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები
ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ექსპერტიზა	ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ექსპერტიზა	2018 წელს მომზადდა 2 მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	2019 წელს იგეგმება დამატებით 2 მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ექსპერტიზა	0%	ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა
ორი ახალი მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მშენებლობა	ორი ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა	2018 წელს მომზადდა 2 მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	2019 წელს დაიწყება ორი ახალი მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მშენებლობა, აღნიშნული ცენტრები დასრულდება 2020 წელს	0%	ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა
არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურის რაოდენობა	2018 წელს სამსახურს დაქვემდებარებული 14 სპორტული ობიექტია	2019 წელს იგეგმება ვაკის და საბურთალოს ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია, ასევე დიდ ლილოში, ვარკეთილის დასახლებაში არსებული შენობის რეაბილიტაცია ჭიდაობის დარბაზის მოსაწყობად	0%	არასამრთლი ფინანსური რესურსი და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა

№	ღონისძიების დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი	მათ შორის			საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	რაოდენობა / ზგ.მ. ჯამური	დამატებითი მასსაჭიროებელი (ხარჯობრივი)	დამატებითი ინფორმაცია
			საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	სხვა (ტრანტი)				
1	მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	600 000	600 000			არაფინანსური აქტივები			დამატებით მომზადდება ორი მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის ასაშენებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია
2	მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა	300 000	300 000			არაფინანსური აქტივები			ექსპერტიზა ჩაუტარდება მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას
3	2 ახალი მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მშენებლობის დაწყება	7 200 000	7 200 000			არაფინანსური აქტივები			არსებული პროექტის შესაბამისად თბილისის ორ რაიონში ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან და დიდ დილომში, სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ დაიწყება მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრების მშენებლობა, რომელიც დასრულდება 2020 წელს. ერთი ცენტრის მშენებლობის სავარაუდო ღირებულებაა 12 000 000 ლარი.
4	ჭიდაობის დარბაზის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები	1 500 000	1 500 000			არაფინანსური აქტივები			დიდ ლილოში, ვარკეთილის დასახლებაში არსებული შენობის რეაბილიტაცია ჭიდაობის დარბაზის მოსაწყობად
5	საბურთალოს ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია	1 000 000	1 000 000			არაფინანსური აქტივები			
6	ვაკის პარკში არსებული ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია	300 000	300 000			არაფინანსური აქტივები			
სულ	**ჯამი**	**10 900 000**	**10 900 000**						

პროგრამის/ ქვეპროგრამის კოდი	ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
08 06 05	7081	წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა	კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი
სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოსპარეზე 18 წლამდე ასაკის პერსპექტიული სპორტსმენების ფინანსური წახალისება, რაც გაზრდის მათ მოტივაციას სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმართ. ამასთან, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს პირველობებში, ჩემპიონატებში, თასის გათამაშებებში და საერთაშორისო ტურნირებში მაღალი შედეგების მიღებას, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. გაზრდის პროფესიონალური სპორტის პოპულაროზას, სწორად წარმართავს ბავშვთა და მოზარდთა შორის თავისუფალი დროის გამოყენებას.

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	**შედეგი 1:** სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში აქტიურად ჩაბმული და წახალისებული პერსპექტიული ბავშვები და მოზარდები.

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები	№	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები
სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში აქტიურად ჩაბმული და წახალისებული პერსპექტიული ბავშვები და მოზარდები.	სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ პერსპექტიულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა	2018 წელს პროგრამის ფარგლებში ჩართულია - 234 სპორტსმენი, მ.შ. ვაჟი - 148, გოგონა-86	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა და თანაბარი ხელმისაწვდომობა	5%	არადამაკმაყოფილებელი შედეგები

№	ღონისძიების დასახელება	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი	მათ შორის			საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	რაოდენობა / კგ.მ. ჯერადობა	დამატებითი მასასათვლელები (განგარიშება)	დამატებითი ინფორმაცია
			საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	სხვა (ტრანტი)				
1	წარმატებული შედეგების მქონე 18 წლამდე ასაკის სპორტსმენების წახალისება	390 000	390 000			სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	260	260 X 125ლარი X 12თვე	
სულ	**ჯამი**	**390 000**	**390 000**						

პროგრამის/ ქვეპროგრამის კოდი	ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
08 06 06	7081	პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახური	კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი
ქვეროგრამის მიზანია: შშმ პირთა საზოგადოებაში და საერთაშორისო პარასპორტულ სამყაროში ინტეგრაცია, რესოციალიზაციაში დახმარება; თბილისში პარასპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარება; სპორტის სახეობების პოპულარიზაცია შშმ პირებს შორის; დაჭრილი ქართველი სამხედრო მოსამსახურეების ჩართვა პარასპორტულ ღონისძიებებში და რესოციალიზაციის პროცესში მათი დახმარება. სასპონსორო და საგრანტო დაფინანსების მოპოვება; თბილისელი პარასპორტსმენების მონაწილეობის უზრუნველყოფა საერთაშორისო პარასპორტულ ტურნირებში; კვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლების და მენეჯერების მოზიდვა კონკურენტუნარიანი სპორტსმენების აღსაზრდელად. პროგრამას განახორციელებს ა(ა)იპ "თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი". ამ ეტაპზე ხორციელდება ინტენსიური საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი ფარიკაობაში, ამპუტანტთა ფეხბურთში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მშვილდოსნობაში, მკლავჭიდში, უსინათლოთა ფეხბურთში, მჯდომარე ფრენბურთში, ბოჩაში, წოლჭიმში, ძიუდოში, ეტლით მოსარგებლეთა კალათბურთში, აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდთა ფეხბურთში და კალათბურთში, ტაეკვონდოში და ბადმინტონში. ცენტრის მიზანია დამატებით სხვა პარასპორტული სახეობების განვითარება. შესაბამისად მოხდება მრავალი შშმ პირის მოზიდვა მათი რესოციალიზაციის და ატიურ სპორტში ჩართვის მიზნით.

